საიდ. №71306/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №17-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ინტელ კორპორეიშენ”-ის (INTEL CORPORATION) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №17-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №1598/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „LOOK INSIDE” (საიდ. №71306/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 41-ე კლასის განცხადებული მომსახურების მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირება ასევე 41-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სწავლება დაკავშირებული ქსელებთან, ქსელური სისტემის დამუშავებასთან, ქსელის მუშაობასთან, ქსელის ტექნიკურ მომსახურებასთან, ქსელის შემოწმებასთან, ქსელის პროტოკოლთან, ქსელის მართვასთან, ქსელის ინჟინერიასთან, კომპიუტერებთან, პროგრამულ

უზრუნველყოფასთან, მიკროპროცესორებთან და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან; გართობასთან დაკავშირებული მომსახურება, კერძოდ, გამოფენების მოწყობა კომპიუტერული თამაშებისთვის, განათლებასთან დაკავშირებული მომსახურება, მათ შორის, გლობალური კომპიუტერული ქსელების მეშვეობით ციფრული გამოსახულებთან დაკავშირებული სემინარების, კურსების და ინდივიდუალური კონსულტაციებით უზრუნველყოფა; მომხმარებლისთვის ინტერაქტიური ციფრული გამოსახულებების მონაცემთა ბაზის უზუნველყოფა; ციფრული გამოსახულებების ინტერაქტიური ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა მომხმარებელთა შორის განაწილებით; ფოტოგრაფიული და გამოსახულების ბიბლიოთეკის მომსახურება; კომპიუტიზირებული ინტერაქტიური საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის, კომპიუტერებთან, კომპიუტერულ ტექნიკურ უზრუნველყოფასთან, მიკროპროცესორებთან, პროგრამულ უზრუნველყოფასთან და კომპიუტერულ ქსელებთან დაკავშირებული კლასების, სემინარების, ინდივიდუალური კონსულტაციების, კონფერენციების და მასტერ-კლასების უზრუნველყოფა; კომპიუტერებთან, კომპიუტერულ ტექნიკურ უზრუნველყოფასთან, მიკროპროცესორებთან, პროგრამულ უზრუნველყოფასთან და კომპიუტერულ ქსელებთან დაკავშირებული კომპიუტიზირებული ინტერაქტიური სწავლება; საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის, სახელმძღვანელო, საკონსულტაცო და ტექნიკურ საშუალელებთან დაკავშირებული ინტერაქტიური ინდივიდუალური კონსულტაციების და კურსების, ექსპერტის ხელმძღვანელობის და რჩევებით უზრუნველყოფა, ყველა მომსახურება დაკავშირებული კომპიუტერული ტექნიკური უზრუნველყოფის, პროგრამული უზრუნველყოფის, კომპიუტერული ქსელის, სატელეკონფერენციო და საკომუნიკაციო საქონლისა და მომსახურების შეძენასთან, გამოყენებასთან, მოვლასთან, შენახვასთან, უზრუნველყოფასთან, მოდერნიზებასთან, განახლებასთან და კონფიგურაციასთან; საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის, კლასების, სემინარების, კონფერენციების და ინტერაქტიური საგანმანათლებლო ფორუმების ჩატარება, დაკავშირებული კომპიუტერის და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასთან, ნავიგაციასთან გლობალური კომპიუტერული ქსელების მეშვეობით, კომპიუტერულ მეცნიერებასა და ტექნოლოგიასთან, კომპიუტერულ მართვასთან და აღნიშნულთან დაკავშირებული საკურსო მასალის განაწილებასთან; სტუდენტებს შორის

ტექნოლოგიური ცოდნის ამაღლებისათვის შემუშავებული საგანმანათლებლო მასალების სრულყოფა და გავრცელება; ქსელის ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სწავლება; ინტერაქტიურ საქმიან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული სწავლება" (41-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის №1598/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "LOOK INSIDE" რეგისტრაციას არ ექვემდებარება რადგან იგი მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „G+J Holding GmbH" (Parkring 12, A-1010 Wien, AT) სახელზე 41-ე კლასის იდენტური საქონლის ჩამონათვლისათვის რეგისტრირებული ასევე სიტყვიერი ნიშნისა „Look"(საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი 28.07.2006წ., საერთაშორისო რეგისტრაციის №905525). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ნიშანი დაპირისპირებული ნიშნისგან განსხვავდება სიტყვიერი ნაწილით "INSIDE", ეს მას არ ანიჭებს განმასხვავებელუნარიანობას და შესაბამისად ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 41-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლისთვის, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად ნაწილობრივ უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, კერძოდ 41-ე კლასის ნაწილში.

აპელანტი კომპანია „ინტელ კორპორეიშენ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება ერთმანეთისგან ვიზუალურად, ფონეტიკურად, აზრობრივი მნიშვნელობით და საქონლის ჩამონათვალით, რადგან დაპირისპირებული ნიშანი ერთსიტყვიანია „LOOK" და ქართულად გამოითქმის როგორც „ლუქ" და აზრობრივად თარგმანში

აქვს მრავალი მნიშვნელობა – „ყურება”, „შეხედვა”, „გამოხედვა”, „ძებნა” და სხვა. განცხადებული სიმბოლო კი არის ორ სიტყვიანი „LOOK INSIDE“, რომელიც ქართულად გამოითქმის როგორც „ლუქ ინსაიდ“, აზრობრივად თარგმანში ნიშნავს – „შეიხედე შიგნით“ და წარმოადგენს აპელანტის ერთ–ერთ ახალ ლოზუნგს. განცხადებული ნიშანი მიეკუთვნება კომპანია „ინტელ კორპორეიშენ“, სასაქონლო ნიშნის რეგ. №17202 და რეგ. 20378 ნიშნების სერიას, მათ შორისაა ასევე განაცხადის № AM 071307, რომელზეც გაცემულია დადებითი გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე. აპელანტის პოზიციით, განცხადებული ნიშანი „LOOK INSIDE“ შესრულებულია ფორმატში „ტერმინი + INSIDE“, რომელიც უკვე დაკავშირებულია „ინტელ კორპორეიშენთან „INTEL INSIDE“ რეგისტრაციების ბაზაზე და მიეკუთვნება „ინტელის“ ნიშნების ოჯახს. აპელანტის მითითებით „LOOK INSIDE“ ასოცირდება „ინტელ“-ის „INTEL INSIDE“-ის ნიშნებთან და შედის „ინტელის“ ნიშნების „ტერმინი+ INSIDE“ ფორმატში. აპელანტის განმარტებით, საყოველთაოდაა ცნობილი „ინტელ“-ის „INTEL INSIDE“ და „ტერმინი+ INSIDE“ ნიშნები. მომხმარებელი (მყიდველი) ადვილად დაუკავშირებს განცხადებულ ნიშანს „LOOK INSIDE“ აპელანტს და არ აერევა იგი სხვა მწარმოებელთან. აპელანტის პოზიციით, ნიშნების შედარება ხდება მთილიანობაში, საერთო შთაბეჭდილებიდან გამომდინარე და იქიდან გამომდინარე, რომ განცხადებული ნიშანი შედგება ორი სიტყვისგან, უკვე განასხვავებს მას დაპირისპირებული ნიშნისგან, თუნდაც იმით რომ მიანიშნებს მომხმარებელს კონკრეტულ კომერციულ წყაროზე, რთულია იმის დაჯერება რომ მომხმარებელს აერიოს საგამომცემლო საქმიანობით დაკავებული მომპანია ისეთ ცნობილ კომპანიასთან როგორიცაა „ინტელ კორპორეიშენი“. აპელანტის პოზიციით, განსხვავედება დაპირისპირებული ნიშნების მომსახურებაც, კერძოდ განმცხადებლის მომსახურება ფოკუსირებულია კომპიუტერთან და ტექნოლიგიებთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, მაშინ როცა დაპირისპირებული ნიშანი მიმართულია მაუწყებლობასთან და მასთან დაკავშირებულ მომსახურებასთან, როგორიცაა ტელევიზია, რადიო, ფილმები და ინტერაქტიური გამოცემები/ჟურნალები. აპელანტის მითითებით, 41-ე კლასის განცხადებულ მომსახურებაში დაპირისპირებულ ნიშნის მომსახურებასთან რაიმე მსგავსების აღმოფხვრის

მიზნით, განმცხადებელი ზღუდავს: 41-ე კლასის საქონლის ჩამონათვალს და ჩამონათვალიდან იღებს შემდეგ მომსახურებებს „ინტერაქტიური თამაშებით უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კულტურული და სპორტული ღონისძიებებით უზრუნველყოფა; ფოტოგრაფიასთან, გამოსახულებებთან, და მსგავს საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებული პერიოდული გამოცემების გაზეთების, ჟურნალების, წიგნებისა და ბროშურების ინტერქტიური გამოცემებით უზრუნველყოფა; განათლება, სწავლების უზრუნველყოფა, გართობა, სპორტული და კულტურული ღონისძიებები.“ აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნები არაა აღრევამდე მსგავსი, არა აქვთ კონკურენტული მომსახურება და შესაძლებელია მათი თანაარსებობა ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქოლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №1598/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „LOOK INSIDE” (საიდ. №71306/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 41-ე კლასის განცხადებული მომსახურების მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირებას ასევე 41-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სწავლება დაკავშირებული ქსელებთან, ქსელური სისტემის დამუშავებასთან, ქსელის მუშაობასთან, ქსელის ტექნიკურ მომსახურებასთან, ქსელის შემოწმებასთან, ქსელის პროტოკოლთან, ქსელის მართვასთან, ქსელის ინჟინერიასთან, კომპიუტერებთან, პროგრამულ უზრუნველყოფასთან, მიკროპროცესორებთან და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან; გართობასთან დაკავშირებული მომსახურება, კერძოდ, გამოფენების მოწყობა კომპიუტერული თამაშებისთვის, განათლებასთან დაკავშირებული მომსახურება, მათ შორის, გლობალური კომპიუტერული ქსელების მეშვეობით ციფრული გამოსახულებთან დაკავშირებული სემინარების, კურსების და ინდივიდუალური კონსულტაციებით უზრუნველყოფა; მომხმარებლისთვის ინტერაქტიური ციფრული გამოსახულებების მონაცემთა ბაზის უზუნველყოფა; ციფრული გამოსახულებების ინტერაქტიური ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა მომხმარებელთა შორის განაწილებით; ფოტოგრაფიული და

გამოსახულების ბიბლიოთეკის მომსახურება; კომპიუტიზირებული ინტერაქტიური საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის, კომპიუტერებთან, კომპიუტერულ ტექნიკურ უზრუნველყოფასთან, მიკროპროცესორებთან, პროგრამულ უზრუნველყოფასთან და კომპიუტერულ ქსელებთან დაკავშირებული კლასების, სემინარების, ინდივიდუალური კონსულტაციების, კონფერენციების და მასტერ-კლასების უზრუნველყოფა; კომპიუტერებთან, კომპიუტერულ ტექნიკურ უზრუნველყოფასთან, მიკროპროცესორებთან, პროგრამულ უზრუნველყოფასთან და კომპიუტერულ ქსელებთან დაკავშირებული კომპიუტიზირებული ინტერაქტიური სწავლება; საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის, სახელმძღვანელო, საკონსულტაცო და ტექნიკურ საშუალებებთან დაკავშირებული ინტერაქტიური ინდივიდუალური კონსულტაციების და კურსების, ექსპერტის ხელმძღვანელობის და რჩევებით უზრუნველყოფა, ყველა მომსახურება დაკავშირებული კომპიუტერული ტექნიკური უზრუნველყოფის, პროგრამული უზრუნველყოფის, კომპიუტერული ქსელის, სატელეკონფერენციო და საკომუნიკაციო საქონლისა და მომსახურების შეძენასთან, გამოყენებასთან, მოვლასთან, შენახვასთან, უზრუნველყოფასთან, მოდერნიზებასთან, განახლებასთან და კონფიგურაციასთან; საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის, კლასების, სემინარების, კონფერენციების და ინტერაქტიური საგანმანათლებლო ფორუმების ჩატარება, დაკავშირებული კომპიუტერის და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასთან, ნავიგაციასთან გლობალური კომპიუტერული ქსელების მეშვეობით, კომპიუტერულ მეცნიერებასა და ტექნოლოგიასთან, კომპიუტერულ მართვასთან და აღნიშნულთან დაკავშირებული საკურსო მასალის განაწილებასთან; სტუდენტებს შორის ტექნოლოგიური ცოდნის ამაღლებისათვის შემუშავებული საგანმანათლებლო მასალების სრულყოფა და გავრცელება; ქსელის ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სწავლება; ინტერაქტიურ საქმიან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული სწავლება”

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის

პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „LOOK INSIDE” (საიდ. №71306/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „Look” (IR 905525) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული სასაქონლო ნიშანი „LOOK INSIDE”, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „Look” შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ორ სიტყვიან სასაქონლო ნიშანს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ერთ სიტყვიანი სასაქონლო ნიშანია, რომელსაც სრულად შეიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშანი. მიუხედავად, იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ორ სიტყვიან ნიშანს წარმოადგენს, განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა მოდის პირველ სიტყვაზე „LOOK”, რადგან ორ სიტყვიანი სასაქონლო ნიშნების აღქმის თვალსაზრისით, მომხმარებელი პირველ სიტყვას აღიქვამს და მისთვის პირველი სიტყვაა მეტად დასამახსოვრებელი. განცხადებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვა „LOOK” და დაპირიპსირებული სასაქონლო ნიშანი „Look” იდენტურ სიტყვიერ აღნიშვნებს წარმოადგენს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ლუქ ინსაიდ”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი, როგორც „ლუქ”. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მგავსია სემანტიკურად, რადგან როგორც განცხადებული ნიშნის პირველი სიტყვა „LOOK” ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „LOOK” ქართულად ნიშნავს „ყურებას”, „შეხედვას”.

მართალია, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში მეორე სიტყვა „INSIDE" ქართულად ნიშნავს „შიგნით" და წარმოადგენს ადგილის განმსაზღვრელ სიტყვას, მაგრამ განცხადებულ ნიშანში სემანტიკურად დატვირთულია განცხადებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვა და სწორედ მას ენიჭება ძირითადი შინაარსობრივი დატვირთვა, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. მართალია, აპელანტმა შეზღუდა 41-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი, მაგრამ შეზღუდული მომსახურების მიუხედავად, განცხადებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული მომსახურება მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული მოსახურებისა, რადგან ორივე მომსახურება უკავშირდება კომპიუტერულ პროგრამებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „LOOK INSIDE" (საიდ. №71306/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ინტელ კორპორეიშენ"-ის (INTEL CORPORATION) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის №1598/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ე.
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	დ. ჭიჭინაძე